საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი **№33**

ქ. თბილისი

8.08.2018

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარე);

ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის თავმჯდომარე, ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

ნინო ჩანადირი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მაგისტრანტი (საბჭოს მდივანი)

გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

სოფიკო ლობჟანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული დეპარტამენტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი;

გელა გელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი;

დიმიტრი ჯაფარიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე;

პაატა ბრეკაშვილი - შპს კავკასიის უნივერსიტეტის კავკასიის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დეპარტამენტის დირექტორი;

თეო ურუშაძე - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის დეკანი, პროფესორი;

გიორგი თურქია - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი პროფესორი;

ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ოლია ვოტ - შპს „პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფ - PMCG-ის ხარისხის მართვისა და შიდა ინტეგრაციის მენეჯერი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

ანა ლელაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი;

ივეტა გოგავა - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი;

ნინო გაგელიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ლაშა მაჭარაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები :

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მადონა მიქელაძე - განათლების ფაკულტეტის დეკანი;
ნანა მაკარაძე - განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელწმიფო სახელმწიფო უნივერსიტეტი
მაკა ბერიძე - რექტორი;
მერაბ ბერიძე - რექტორის მოადგილე;
ირმა ქურდაძე - პროგრამის ხელმძღვანელი.

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ირმა შიოშვილი - რექტორი;
შალვა ჭკადუა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნინო მოდებაძე - საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი;
ნინო ნახუცრიშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი.

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ლევან მიდოდაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ციური დურული - სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
დავით ჩოჩიშვილი - ფაკულტეტის დეკანი;
ნოდარ მირაზანაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი.

სსიპ - სოხუმის სახელწმიფო უნივერსიტეტი
ზურაბ ხონელიძე - რექტორი, პროფესორი;
რომეო გალდავა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
ლია ახალაძე - პროგრამის ხელმძღვანელი, განათლების ფაკულტეტის დეკანი;
თამარ შინჯიაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი, განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
დავით ზურაბაშვილი - პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი;
იზო ბუხულეიშვილი - პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი;
ელზა გარაყანიძე - პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი;
მაია ფირჩხაძე - პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:
ქეთევან თოდაძე
ეკატერინე კვირიკაშვილი
ანჟელა აბულაძე

ლელა იოსავა
ლალი ბერიშვილი
თინათინ გაბრიჩიძე

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:30 საათზე.
სხდომას ესწრებოდა საბჭოს 12 წევრი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 მუხლის მე-5 შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:
1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელწმიფო უნივერსიტეტის ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელწმიფო უნივერსიტეტის დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტერირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. ცენტრის წარმომადგენელმა, მაია გელაშვილმა დააყენა შუამდგომლობა დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-4 საკითხი განხილული ყოფილიყო მე-3 საკითხად.

საბჭოს თავჯდომარემ საბჭოს გააცნო ახალი დღის წესრიგი და კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული შუამდგომლობა დღის წესრიგში ცვლილების განხორციელების თაობაზე.

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელწმიფო უნივერსიტეტის ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელწმიფო უნივერსიტეტის დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტერირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

წარმოდგენილი დღის წესრიგი ერთხმად იქნა დამტკიცებული საბჭოს წევრების მიერ.

ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული სამი საკითხის შემთხვევაში ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს წარმოადგენდა საერთაშორისო ექსპერტი მილან პოლი, რომელიც სხდომაზე ჩაერთვებოდა სკაიპის მეშვეობით და ისაუბრებდა სამივე საკითხთან დაკავშირებით.
ექსპერტმა, მილან პოლმა განაცხადა, რომ ზოგადად ისაუბრებდა სამივე დაწესებულების პროგრამების შესახებ. მან აღნიშნა, რომ პროგრამა მნიშვნელოვანი იყო სამივე დაწესებულებისათვის, უნივერსიტეტები ახორციელებდა მასწავლებლის მომზადების პროგრამას საბაკალავრო საფეხურზე, რაც იმაზე მეტყველებდა, რომ მათ ჰქონდათ საკმარისი გამოცდილება და რესურსი განეხორციელებინათ ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. რაც შეეხებოდა უშაულოდ სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამას, სტრუქტურა და შინაარსი გახლდათ კარგი, სერვისების ხარისხი იყო დამაკმაყოფილებელი. პროგრამა ძირითად შემთხვევაში აკმაყოფილებდა სტანდარტების მოთხოვნას. თუმცა ჯგუფის მიერ შემუშავებული იყო გარკვეული რეკომენდაციები. კერძოდ:
რეკომენდირებული იყო ინგლისური ენის შესწავლის დონის ამაღლება სტუდენტებისათვის A1-დან B2 დონემდე იმისათვის, რომ მათი ცოდნა საკმარისი ყოფილიყო ინგლისურ ენაზე კომუნიკაციისათვის. ასევე მნიშვნელოვანი იყო თავად აკადემიური პერსონალისათვის სისტემატიური სწავლების ჩატარება კვლევის უნარ-ჩვევების და ინგლისური ენის ცოდნის დონის ამაღლების მიზნით. რჩევის სახით გამოთქმული იყო მოსაზრება რეგიონულ სკოლებთან მემორანდუმების გაფორმების თაობაზე სტუდენტებისათვის პრაქტიკის კომპონენტის გამრავალფეროვნების თავლსაზრისით. მნიშვნელოვანი იყო ინტერნაციონალიზაციის კუთხით მეტი მუშაობა განეხორციელებინათ ხარისხის

უზრუნველყოფის სამსახურს და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას. სასურველი იქნებოდა სწავლების უნარ-ჩვევებში პერსონალის უწყვეტ სწავლებაზე.
რაც შეეხებოდა სსიპ - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ჯგუფის მიერ აღნიშნულ შემთხვევაშიც შემუშავებულ იქნა მნიშვნელოვანი რეკომენდაციები და რჩევები რომელიც კიდევ უფრო სრულყოფდა პროგრამას. რეკომენდაციები უმთავრესად ეხებოდა სწავლის შედეგების დახვეწას გარკვეული კურსებისათვის, აუცილებელი იყო სწავლებისა და სწავლის მეთოდების გადახედვა იმისათვის რომ მეთოდები შესაბამისობაში ყოფილიყო პირველადი განათლების დონესთან. ზოგიერთ კურსში ლიტერატურა მოითხოვდა განახლებას. მნიშვნელოვანი იყო აკადემიური პერსონალის და სტუდენტების ინგლისურის ცოდნის დონის გაუმჯობესება, მნიშვნელოვანი იყო, რომ აკადემიურ პერსონალს ჰქონოდა შესაბამისი უნარ-ჩვევები კვლევის და ზედმახედველობის განხორციელების კუთხით. აუცილებელი იყო რესურსების მოძიება ელექტრონულ ბაზებთან წვდომის თვალსაზრისით.
ექსპერტმა ასევე ისაუბრა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროგრამასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ რეკომენდაციები ეხებოდა პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის არსებითი ხასიათის მქონე ასპექტებს. კერძოდ, მნიშვნელოვანი იყო გადახედილიყო კურსის სილაბუსი იმისათვის, რომ შესაბამისობაში ყოფილიყო სასწავლო გეგმასა და წინაპირობებთან, ინგლსიური ენის სილაბუსისათვის აუცილებელი იყო წინაპირობების განსაზღვრა და მათი სილაბუსებში ასახვა, მნიშვნელოვანი იყო პერსონალისათვის სისტემატიური ტრენინგების განხორციელება მეთოდოლოგიის, კვლევის უნარების და ინგლისური ენის კომპეტენციასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილი იყო დანერგილიყო სტრატეგია მზარდი თაობათა ცვლის პრობლემის გადასაჭრელად პერსონალის თვალსაზრისით.
სკაიპით განხორციელებული ჩართვის დასრულების შემდგომ საბჭოს თავმჯდომარემ განაგრძო საბჭოს სხდომა დადგენილი პროცედურის თანახმად.

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო პროგრამა
განათლების საფეხური	ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	განათლების მაგისტრი 03
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	300

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ხომ არ სურდათ დამატებით ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით.

ექსპერტმა განაცხადა, რომ თავმჯდომარის მიერ გაჟღერებული იქნა ყველა მნიშვნელოვანი საკითხი. თუმცა მისი სურვილი იყო ესაუბრა უნივერსიტეტის საუკეთესო პრაქტიკაზე რაც გახმოვანებული არ იქნა. საუკეთესო პრაქტიკა შეეხებოდა უნივერსიტეტში არსებულ ელექტრონულ პორტალებს რომლის მეშვეობითაც ხდებოდა სტუდენტებთან კომუნიკაცია და აღსანიშნავი იყო ასევე ელექტრონული ბიბლიოთეკა. ვიზიტის დროს ვერ მოხერხდა მატერიალური რესურსის დათვალიერება ვინაიდან უნივერსიტეტში მიმდინარეობდა ერთიანი ეროვნული გამოცდები.

საბჭოს თავმჯდომარემ გააკეთა განცხადება იმის თაობაზე, რომ სამივე უნივერსიტეტის პროგრამების შესახებ შემუშავებულ დაკსვნებში იკვეთებოდა იდენტური ხასიათის რჩევა, რომელიც ეხებოდა რეგიონის სკოლებთან მემორანდუმების გაფორმებას სტუდენტების პრაქტიკის განხორციელების მიზნით. მას აინტერესებდა სტუდენტთა პრაქტიკა იყო თუ არა სასწავლო კომპონენტის შემადგენელი ნაწილი, ვინაიდან თუ კი აღინიშნებოდა, რომ სკოლებში არ ხორციელდებოდა პრაქტიკა და არ იყო გაფორმებული შესაბამისი მემორანდუმები აღნიშნული წარმოადგენდა სერიოზულ დარღვევას რასაც უნდა ჰქონოდა არა რჩევის არამედ რეკომენდაციის სახე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მემორანდუმები გაფორმებული იყო მხოლოდ ბათუმში არსებულ სკოლებთან თუმცა პრაქტიკასთან დაკავშირებით დაწესებულებაში დარღვევა არ ფიქსირდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა მემორანდუმებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ბათუმის უნივერსიტეტს 2015-2016 წლებში გაფორმებული ჰქონდა აჭარის რეგიონის ყველა საჯარო და კერძო სკოლასთან, ხოლო აღნიშნული კონკრეტული პროგრამისათვის მემორანდუმები გაფორმებული იყო ბათუმში არსებული სკოლების ნაწილთან და 24 მასწავლებელთან, მათ შორის დაწყებითი საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებთან და მე-5 -მე-6 კლასების ქართულის, მათემატიკის და ბუნებისმეტყველების მასწავლებლებთან. ვინაიდან ვადები იყო შემჭიდროვებული, აჭარის მაღალმთიანი რეგიონების ყველა სკოლასთან ვერ გაფორმდებოდა ხელშეკრულებები. იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული პროგრამა

განხორციელდებოდა უნივერსიტეტი დაიწყებდა ზრუნვას ყველა რეგიონის სკოლასთან მემორანდუმის გაფორმების თაობაზე.

საბჭოს წევრი გელა გელაშვილი დაინტერესდა პრატქიკის ფინანსური უზრუნველყოფის საკითხით. მას აინტერესებდა როგორ ხდებოდა მაღალმთიან რეგიონებში მაგალითისათვის ქედაში, პრატქიკის ანაზღაურება.

დაწესებულების ეარმომადგენელმა განაცხადა, რომ ქედაში, შუახევში და ხულოში დაწესებულებას პრატქიკის განხორციელების შემთხვევა ჯერ არ ჰქონია. ბათუმის გარდა უნივერსიტეტს პრაქტიკის ობიექტები ჰქონდა ქობულეთსა და ხელვაჩაურში. აღსანიშნავი იყო ასევე, რომ აქცენტი მთლიანად მაღალ მთიან რეგიონზე ვერ გაკეთდებოდა თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ ზამთარი იწყებოდა ნოემბრის თვეში და გრძელდებოდა მარტის ბოლომდე რაც გადაადგილების და კომუნკაციის პრობლემასაც შექმნიდა.

ექსპერტმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ ვიზიტის განხორციელების პროცესში მას არ უნახავს აღნიშნული მასწავლებლებთან დადებული ხელშეკრულებები. მისი მოსაზრებით შესაძლებელი იყო გაფორმებული ყოფილიყო ორი ტიპის ხელშეკრულება მომსახურების და შესყიდვის ან მომსახურების შესყიდვის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ გაფორმებული ჰქონდათ მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება.

ექსპერტი დაინტერესდა, ბიუჯეტი ჯამში იყო 5000 ლარზე ნაკლები თუ მეტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაფინანსება არ იყო მაღალი. ის შემოიფარგლებოდა 5000 ლარის ფარგლებში. პრატიკაზე შესაძლებელი იყო გაეგზავნათ 15 ან 20 სტუდენტი, რომლებიც შემდეგ ნაწილდებოდნენ პარალელების მიხედვით. კლასში შედიოდა მაქსიმუმ 4 სტუდენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს ესაუბრა რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა ინგლსიური ენის ცოდნის დონეს განაცხადა, რომ ინგლსიური ენა მათთვის გახლდათ პრიორიტეტი, გასაუბრებაზე ძირითადად წარმოდგენილი იყვნენ მე-2, მე-3 და მე-4 კურსის სტუდენტები. 2017-2018 სასწავლო წლიდან "English Book" -ის ფარგლებში შემოსული იყო პროგრამა "Open Mind" რომლის მეშვეობითაც მეთოდოლოგია მთლიანად იქნა შეცვლილი. აღნიშნული სისტემა ითვალისწინებდა სტუდენტის ოთხივე უნარის განვითარებას და მონიტორინგს. რაც შეეხებოდა კომუნიკაციის პრობლემის აღმოფხვრას, აღსანიშნავი იყო რომ უნივერსიტეტში, იყო ტენდენცია რომ 20 კრედიტი სავალდებულო საუნივერსიტეტო გახლდათ მხოლოდ შეცვლილი იქნა საათების რაოდენობა. თუ აღნიშნულ დრომდე საათების რაოდენობა მეორე კურსიდან შეადგენდა 45 საათს, არსებულ ვითარებაში წარმოდგენილი იყო 60 საკონტაქტო საათი. ასევე თავისუფალი კრედიტების ფარგლებშიც შეთავაზებული იქნებოდა სტუდენტებისათვის ინგლისური ენა დონის გაზრდის მიზნით.

რაც შეეხებოდა მეორე რეკომენდაციას, გასულ სასწავლო წელს უნივერსიტეტში გამოყოფილი იქნა ბიუჯეტი პერსონალის გადამზადებისათვის მათ შორის სასწავლო და კვლევითი უნარების მიმართულებით, განათლების ფაკულტეტისათვის გამოყოფილი იქნა 100 000 ლარი. რაც შეეხებოდა ენის სწავლებას 2018 წლის ბიუჯეტით დამტკიცებულ იქნა ფონდი, რომლის ფარგლებში სრული აკადემიური პერსონალი დარეგისტრირდა და თებერვლის მხრიდან დაწყებულ იქნა გადამზადება.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ პროგრამა ძალიან კარგად იყო აგებული, ჰქონდა ლოგიკური სტრუქტურა, თუმცა სწავლის შედეგები გახლდათ საკმაოდ

ბევრი რაც მოითხოვდა გამსხვილებას. თავიდან ბოლომდე გადმოტანილი იყო დარგობრივი მახასიათებელი და ამავე დროს სილაბუსებშიც ხდებოდა სწავლის შედეგების ჩაშლა. ასევე მნიშვნელოვანი იყო მეტი აქცენტი გაკეთებულიყო განმავითარებელ შეფასებაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ვინაიდან პროგრამა მოიცავდა ბევრ საგანს და ასევე იყო დროის დეფიციტიც ვერ მიხერხდა სწავლის შედეგების გამსხვილება. თუმცა დაწესებულება იზიარებდა მოცემულ შენიშვნას და აუცილებლად დაიწყებოდა მუშაობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. რაც შეეხებოდა განმავითარებელ შეფასებას, უნივერსიტეტში არსებობდა წესი რომლის თანახმად ხორციელდებოდა ყოველკვირეული შეფასებები თუმცა ყოველ კვირა არ ხდებოდა განმსაზღვრელი შეფასება.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჟანიძემ განაცხადა, რომ განმავითარებელ შეფასებაში იგულისხმებოდა მეთოდოლოგია მასწავლებლისათვის თუ როგორ უნდა გამოეყენებინა დაწყებით კლასებში კურსში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მეთოდიკის სილაბუსებში მოხდებოდა აღნიშნულის დახვეწა.

საბჭოს წევრმა ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ სირთულეს წარმოადგენდა თანამედროვე ბუნებისმეტყველების მასწავლებლის შექმნა. ის გაეცნო სილაბუსებს და მიიჩნია რომ იმისათვის რომ 5-6 კლასებში ესწავლებინა მასწავლებელს მას უნდა სცოდნოდა გარკვეულწილად ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა და ასტრონომია და ამავე დროს არ უნდა ყოფილიყო ამ რომელიმე დარგის სპეციალისტი. მოცემული სილაბუსებით შეუძლებელი იყო ჩამოყალიბებულიყო პროფესიონალი ქიმიკოსი და აღნიშნული არც იყო საჭირო. ბუნებისმეტყველების მასწავლებელს უნდა მოეხდინა სინთეზი ერთი ობიექტის გარშემო ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის და ასტრონომიის კუთხით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ ჰქონდათ ელემენტები, რომლთაც ერქვათ ბუნებისმეტყველება 1,2,3 და 4. ეს იყო ბოტანიკის, ზოოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის ელემენტებისგან შემდგარი ერთობლიობა. ქიმიასა და ფიზიკას ეკავა მხოლოს 2-3 კრედიტი, ასევე იყო ზოოლოგია და ბოტანიკა. მეთოდიკას ასწავლიდა ადამიანი, რომელიც სკოლაში გახლდათ აფილირების წესის შემოღებამდე ბუნებისმეტყველების მასწავლებელი. ასევე მე-5, მე-6 კლასებისათვის ხდებოდა ცოტა უფრო რთული საკითხების შესწავლა.

16:28 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 17:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3[1] პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27[5] მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის და 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 6 თვე ექსპერტთა ჯგუფისა და საბჭოს მიერ მიცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად.

- ბუნებისმეტყველების სილაბუსებში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ინტერდისციპლინარული სწავლების ელემენტები/მიდგომები;
- პროგრამა უნდა გაძლიერებულიყო განმავითარებელი შეფასებით და დიფერენცირებული მიდგომით.

გადაწყვეტილების დასაბუთებისას საბჭომ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად აკმაყოფილებდა მეორე სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების საფეხური	ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	განათლების მაგისტრი 03
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	300

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ხომ არ სურდათ დამატებით ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ძირითადი რეკომენდაციები საბჭოს უკვე მოსმენილი ჰქონდა თავმჯდომარის ჩართვის შედეგად.

ექსპერტებმა განაცხადეს, რომ ძირითადი ასპექტები ვინაიდან გაჟღერებული იქნა თავმჯდომარის მიერ მათ არ სურდათ არაფრის დამატება და მზად იყვნენ ეპასუხათ შეკითხვებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რჩევების ნაწილში წარმოდგენილი იყო არსებითი ხასიათის საკითხები, რაც მისი მოსაზრებით სასურველი იქნებოდა ყოფილიყო რეკომენდაციების ნაწილში. ასევე რჩევებში საუბარი ეხებოდა რესურსების ნაწილსაც, რაც მისი მოსაზრებით თუ დაწესებულებას არ ექნებოდა უზრუნველყოფილი შესაძლოა ეჭვის ქვეშ

დამდგარიყო ავტორიზაციის საკითხიც. მას აინტერესებდა თუ რით იყო გამოწვეული ის რომ რჩევების ნაწილში აღნიშნული გარემოებები არ იქნა მიჩნეული მნიშვნელოვნად და არ ჩამოყალიბდა რეკომედაციების სახით.

ექსპერტმა განაცხადა, რომ რჩევები ძირითადად ეფუძნებოდა რეკომენდაციებს, რეკომენდაციები გახლდათ უფრო დეტალური, რაც შეეხებოდა სილაბუსებს არსებობდა ფაქტობრივი უზუსტობები რომლებიც ატარებდა ტექნიკურ ხასიათს და არ იყო კავშირში შინაარსთან. უშუალოდ რეკომენდაციებში მითითებული იყო ის კურსები რომელშიც ფიქსირდებოდა შინაარსობრივი შენიშვნები.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ყველა სილაბუსი რომელიც მითითებული იყო რჩევაში და მოიცავდა ტექნიკური ხასიათის უზუსტობას გასწორებული იქნა, ასევე სილაბუსებში გასწორებული იქნა ლიტერატურის ნაწილიც სადაც წარმოდგენილი იქნა უახლესი ლიტერატურა. გადახედილი იქნა ასევე სწავლის შედეგებიც. სამივე სილაბუსი გასწორებული იყო. ასევე აღსანიშნავი იყო, რომ გარკვეული სილაბუსების შედგენილი იყო სხვადასხვა პროექტის ფარგლებში და არ იყო გადატანილი უნივერსიტეტისათვის მიღებულ ჩარჩოში, შესაბამისად მოხდა მათი დადგენილი ჩარჩოს მიხედვით ჩამოყალიბება. რაც შეეხებოდა უშუალოდ რეკომენდაციებს, ყველა კურსი ბუნებისმეტყველებაში და არა მარტო ჩაშლილი იყო ინტეგრირებულად მაგალითისათვის წარმოდგენილი იყო გეოგრაფიის და ასტრონომიის ელემენტები, ფიზიკისა და ქიმიის ელემენტები და უფრო მეტიც მათ შეიმუშავეს ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებული კურსიც, რაც ასევე წარმოადგენდა საერტაშორისო ექპერტების რეკომენდაციას. პროგრამის შემუსავების პროცესში ჩართულები იყვნენ სხვადასხვა ექსპერტთა ჯგუფები ესტონეთიდან და დაწესებულება ითვალისწინებდა მათ უკუკავშირებს.

რაც შეეხებოდა რეკომენდაციას სტუდენტების და პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის დონესთან დაკავშირებით, დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა აკადემიური საბჭოს დადგენილება, რომლის საფუძველზეც უნივერსიტეტში არსებობდა უფასო კურსები ინგლისურ ენაში როგორც სტუდენტებისათვის ასევე აკადემიური პერსონალისათვის. ასევე არსებობდა ინგლსიური ენის აკადემიური წერის კურსი და სპეციალურად პედაგოგებისათვის შემუშავებული იქნა ინგლისური ენის აკადემიური წერის კურსი. უნივერსიტეტში ხორციელდებოდა სპეციალური ტრენინგები სტატიების წერის უნარების გაუმჯობესებისათვის, ასევე უნივერსიტეტს ჰქონდა რეფერირებადი ჟურნალი. 2019 წლიდან ძალაში შევიდოდა აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად პროფესურას მოეთხოვეოდა ორ წეილწადში ერთხელ სტატიის გამოქვეყნება საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში.

საბჭოს წევრი, გიორგი თურქია დაინტერესდა თუ როგორ განხორციელდებოდა სწავლება სომხური ეროვნების სტუდენტებისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტს ჰყავდა საკმაოდ ბევრი სომეხი და აზერბაიჯანელი სტუდენტი, აღნიშნული ეროვნების სტუდენტები ხვდებოდნენ მოსამზადებელი კურსის გავლის შემდგომ ბაკალავრიატის საფეხურზე, მათ ჰქონდათ ძალიან კარგი მონაცემები, მაღალი მოტივაცია და ბევრ მათგანს ჰქონდა სტიპენდიაც. მათი აკადემიური მიღწევები იყო საკმაოდ მაღალი. ისინი სწავლობდნენ ქართულ ენასაც და მშობლიურ ენასაც, შესაბამისად თანაბრად შეეძლოთ დასაქმებულიყვნენ სკოლაში. ხოლო რაც შეეხებოდა პირდაპირ სომხურ ენაზე დაწყებითი საფეხურის პროგრამას,

დაწესებულების წარმომადგენლები იმედოვნებდნენ რომ სამომავლოდ შეიმუსავებდნენ სომხური ენისა და ლიტერატურის პროგრამასაც.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჟანიძემ კურსთან ,,კომუნიკაცია, ინტერაქცია, აუტიზმი" დაკავშირებით განაცხადა, რომ აღნიშნული კურსი გახლდათ სპეციფიკური რომელიც ჩასმული იყო ძირითადი საგნების ნუსხაში. მისი მოსაზრებით უმჯობესი იქნებოდა აღნიშნული კურსი გადატანილი ყოფილიყო არჩევით კურსებში და ძირითად საგნებში დამატებოდა კურსი „კლასის მართვა, კონფლიქტების მოგვარება და კომუნაკიაცია" რომელიც გახლდათ დარგობრივი. სასურველია აქცენტი გაკეთებულიყო კომუნიკაციაზე დაწყებით კლასებში, ასევე ზოგიერთი არჩევითი კურსი უმჯობესი იქნებოდა ყოფილიყო სავალდებულო. მაგალითისათვის: „პროფესიული უნარ-ჩვევები და პროფესიული გარემო". ასევე ნამდვილად დადებითი იყო, რომ დაწესებულებას ჰქონოდა ბევრი პრაქტიკა, ერთიდან რვამდე, თუმცა აღნიშნული შეთავაზებული იყო მეორე სემესტრიდან და არ ჰქონდა წინაპირობა, მაშინ როდესაც მოთხოვნა იყო ფსიქოლოგიური პორტრეტის დახატვა. აუცილებლი იყო ფსიქოლოგიის მცირე კურსის ჩასმა. პრაქტიკა 2.3.4.5. მოიცავდა დოკუმენტაციის გაცნობას, რომელიც სავარაუდოდ ფარავდა ძირითად თემებს და არ ხდებოდა გაკვეთილის ჩატარება. ასევე მნიშვნელოვანი იყო განმავითარებელი შეფასების ცალკე გამოყოფა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმავითარებელ შეფასებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ 17 260 ევრო იქნა გამოყოფილი სწორედ განმავითარებელი შეფასების განვითარების მიზნით. კურსში ჩადებული იქნებოდა მოძრავი ლაბორატორიაც. რაც შეეხებოდა მიდგომას აუტიზმთან დაკავშირებით, ჩატარდა კვლევა და აღმოჩნდა რომ საკმაოდ დიდი ცენტრი აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებისა იყო სამცხე-ჯავახეთში. სწორედ ამან გამოიწვია მოტივაცია რომ გაეზარდათ კრედიტები აღნიშნულ კურსთან დაკავშირებით. რაც შეეხებოდა კლასის მართვას, გაბნეული იყო სხვადასხვა კურსებში ელემენტების სახით, მათ შორის ფსიქოლოგიაშიც. თუმცა შესაძლებელი იყო მოსაზრების გათვალისწინება. რაც შეეხებოდა პრაქტიკის დაწყებას მეორე სემესტრიდან, ერთ-ერთი ექსპერტის რჩევის საფუძველზე მოხდა აღნიშნულის გათვალისწინება, თუმცა მისი მოსაზრებით უმჯობესი იქნებოდა მეოთხე სემესტრიდან პრაქტიკის დაწყება.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჟანიძემ განაცხადა, რომ პრაქტიკის დაწყება შესაძლებელი იყო პირველი სემესტრიდანაც, თუმცა წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო სხვა სახით.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ ბუნებისმეტყველების კურსში ხდებოდა სიღრმისეული საკითხების სწავლება როგორც ფიზიკაში ასევე ქიმიაში და უმჯობესი იქნებოდა ყოფილიყო მეტად ინტეგრირებული. აუცილებელი იყო სინთეზი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბუნებისმეტყველებას ასწავლიდა ორი პედაგოგი თავისი კომპეტენციების ფარგლებში, თუმცა შესაძლებელი იყო აღნიშნულ საკითხზე დაფიქრება.

17:41 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება

სხდომა განახლდა 17:55 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3[1] პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27[5] მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 1 წელიწადი ექსპერტთა ჯგუფისა და საბჭოს მიერ მიცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად. ამასთან, საბჭოს შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, რომ ამავე ვადაში მომხდარიყო პროგრამაზე მონიტორინგის განხორციელება.

საბჭოს რეკომენდაციები:

- ბუნებისმეტყველების სილაბუსებში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ინტერდისციპლინარული სწავლების ელემენტები/მიდგომები;
- პროგრამა უნდა გაძლიერებულიყო განმავითარებელი შეფასებით და დიფერენცირებული მიდგომით;
- უნდა გასწორდეს პრაქტიკის წინაპირობები;
- კლასის მართვის და კომუნიკაციის კურსით დაიფაროს სწავლის შედეგები და კომპეტენცია;
- პროფესიული სწავლის გარემო გადმოვიდეს ძირითად ბლოკში;

3. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების საფეხური	ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	განათლების მაგისტრი 03
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	300

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ხომ არ სურდათ დამატებით ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ძირითადი რეკომენდაციები საბჭოს უკვე მოსმენილი ჰქონდა თავმჯდომარის ჩართვის შედეგად.

ექსპერტებმა განაცხადეს, რომ ძირითადი ასპექტები გაჟღერებული იქნა თავმჯდომარის მიერ, შესაბამისად მათ არ სურდათ არაფრის დამატება.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გაითვალისწინებდნენ არსებულ რეკომენდაციებს, რაც ხელს შეუწყობდა პროგრამის გაძლიერებას, თუმცა ზოგიერთ ფაქტობრივ გარემოებასთან დაკავშირებით ჰქონდათ თავინთი მოსაზრება. აღნიშნული ეხებოდა საკითხს იმის თაობაზე, რომ სილაბუსში და სასწავლო გეგმაში მითითებული სემესტრები თითქოს იყო არასწორად, მაგრამ რეალურად აღნიშნული გამოწვეული იყო იმით,

რომ გეგმაში მითითებული იყო მესამე სემესტრი, ხოლო სილაბუსში სწავლების მეორე წლის პირველი სემესტრი რომელიც იყო ერთი და იგივე და თუ აღნიშნული იწვევდა გაუგებრობას შესაძლებელი იყო გასწორება. პროგრამის შექმნის თავდაპირველ ეტაპზე განიხილებოდა ერთ-ერთი სასწავლო კურსის, კერძოდ „მეტყველების კულტურის" ჩართვის მიზანშეწონილობა, თუმცა შემდგომ ის აღარ იქნა გათვალისწინებული პროგრამაში. ჩანაცვლებული იქნა აკადემიური წერით და ქართულ ენასთან დაკავშირებული კურსებით, თუმცა დარჩა მატრიცაში რაც ტექნიკურ ხარვეზს წარმოადგენდა. 19 აპრილს დაწესებულებამ ხელმეორედ გააგზავნა ცენტრში დოკუმენტაცია სადაც ჩასწორებული იქნა საკითხი ფსიქოლოგიის კურსებთან გადაფარვასთან დაკავშირებით. აღნიშნული ჩასწორებები განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის შექმნის და ვიზიტის ბრიზანების გამოცემამდე. რაც შეეხებოდა რეკომენდაციას ინგლსიური ენის წინაპირობებთან დაკავშირებით, დაწესებულებას განსაზღვრული ჰქონდა წინაპირობები, პროგრამის ერთ-ერთ განყოფილებაში დაწვრილებით იყო წარმოდგენილი აღწერილობა, მაგრამ სრულიად შესაძლებელი იყო აღწერილობის სილაბუსში გადმოტანა გამჭვირვალეობის მიზნით. ის რომ სტუდენტს უტარდებოდა ტესტირება ინგლსიური ენის დონის განსაზღვრის მიზნით გაწერილი იყო ცალკე რეგულაციაში, თუმცა აუცილებლად იქნებოდა აღნიშნული სილაბუსშიც.

რაც შეეხებოდა პერსონალის სისტემატიურ ტრენინგთან დაკავშირებულ რეკომენდაციას, კვლევის უნარებზე, ინგლისური ენის კომპეტენციებზე და ა.შ. უნივერსიტეტში მუდივად ტარდებოდა ტრენინგები, რაც ძირითადად გამოწვეული იყო თუნდაც ნორმატიული ცვლილებებით, შესაბამისად ტრენინგების ნაკლებობას უნივერსიტეტი არ განიცდიდა. რაც შეეხებოდა ტრენინგებს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებისა მსგავსი პრაქტიკა უნივერსიტეტში არ არსებობდა თუმცა შეეცდებოდნენ სამომავლოდ მის დანერგვას.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მას უჩნდებოდა კითხვა რამდენად უკიდურესად აუცილებელი იყო აკადემიური პერსონალის, რომელიც მუდმივად ჩართული იყო სასწავლო პროცესში მათი მუდმივი დატრენინგება ყოველივე სიახლის საფუძველზე. მისი მოსაზრებით აღნიშნული დამოკიდებული იყო უშუალოდ დარგის სპეციფიკაზე. მას აინტერესებდა რატომ იყო საჭირო ტრენინგი მასწავლებლის მომზადების სფეროში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთნხმებოდნენ საბჭოს თავმჯდომარეს, პროგრამაში ჩართული იყო კვალიფიციური პერსონალის რომელთაც ჰქონდათ მრავალწლიანი გამოცდილება.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, აღნიშნული რეკომენდაცია ხომ არ იყო განპირობებული იმ გარემოების შემდგომ რაც მათ ნახეს სამაგისტრო ნაშრომები ან გაეცნენ პერსონალის რეზიუმეებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული არ იყო კავშირში ნაშრომებთან, ვინაიდან პროგრამა გახლდათ ახალი და არცერთი ნაშრომი ჯერ არ იყო შესრულებული, ხოლო პროფესორების კვალიფიკაციის გადამოწმება შესაძლებელი იყო მათი პირადი საქმეების მიხედვით.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა გახლდათ ახალი ხილი საქართველოში მასწავლებლის მომზადების სფეროში, დასავლეთში აღნიშნული გახლდათ უკვე მიღებული პრაქტიკა, ჯგუფის აქცენტი მდგომარეობდა იმაში, რომ კარგი იქნებოდა თუ მოხდებოდა პერსონალის გადამზადება სწავლების მეთოდების მომზადების თვალსაზრისით თანამედროვე მეთოდების კუთხით. საუბარი ეხებოდა თუ როგორ უნდა ჩაეტარებინა კვლევა ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ სტუდენტს.

საბჭოს წევრი, გელა გელაშვილი დაინტერესდა თუ ვის უნდა ჩაეტარებინა ასეთი ტიპის ტრენინგები.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ ადამიანი რომელიც ატარებდა კვლევას და მუშაობდა სადისერტაციო ნაშრომზე ის თავად უნდა ყოფილიყო ორიენტირებული თვითგანვითარებაზე, მისთვის წარმოუდგენელი იყო ესწავლებინათ ვინმესთვის ტრენინგის მეშვეობით, თუ როგორ უნდა დაწერილიყო დისერტაცია და ჩაეტარებინა კვლევა. თუ საკითხი ეხებოდა ახალ ტექნოლოგიებს ასეთ შემთხვევაში მისაღები იყო გარკვეულწილად ტრენინგები ტექნიკური მახასიათებლების გაცნობის მიზნით.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მოცემულ შემთხვევაში საუბარი იყო მეთოდოლოგიის საკითხებზე, თუ რამდენად ფლობდნენ ლექტორები სწავლების თანამედროვე მეთოდებს. იგულისხმებოდა რომ თავად მათ პროფესორებს უნდა სცოდნოდათ აღნიშნული მეთოდები იმისათვის რომ ცოდნა გადაეცათ სტუდენტებისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტამდე რამოდენიმე თვით ადრე ფაკულტეტის პროფესურისათვის განხორციელებული იქნა სამოქალაქო განვითარების ცენტრის მიერ ტრენინგი, დაწესებულებაში იყო პედაგოგიკის კათედრა სადაც სისტემატურად ტარდებოდა საჯარო ლექციები სწავლების ახალ მეთოდოლოგიებზე, ასევე მასწავლებლის განვითარების პროფესიული ცენტრი ფუნქციონირებდა დაწესებულებაში სადაც ტარდებოდა ტრენინგები სწორად ახალი მიმართულებების კუთხით.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჟანიძემ განაცხადა, რომ პროგრამა სტრუქტურულად აგებული იყო კარგად, თუმცა გასაძლიერებელი იყო კვლევის კომპონენტი, თავად კურსი, თანამედროვე კვლევის მეთოდები იყო შემუშავებული კარგად, მაგრამ ერთ კურსში მოთავსებული იყო იმდენი საკითხი, რომ წარმოუდგენელი იყო შედეგზე გასვლა. შესაძლებელი იყო მცირე თემებისათვის დაერქმიათ შესავალი განათლების კვლევებში და დაემატებინათ ერთი კურსი კვლევებისათვის. პრქატიკის კვლევაზე გათვალისწინებული იყო სადიპლომო სამაგისტრო ნაშრომი, როდესაც პრაქტიკის კურსს არ ჰქონდა წინაპირობა. კარგი იყო, რომ იყენებდნენ ჩაშენებული პრაქტიკის მოდელს, რაც არ ჩანდა სილაბუსში და ჩანდა მხოლოდ შეფასებაში. კარგად უნდა გაწერილიყო თუ რას აკეთებდა სკოლაში სტუდენტი, აღნიშნული კარგად უნდა ყოფილიყო გაწერილი სილაბუსში და საათებში. ფსიქოლოგიის კურსებში სასურველია აქცენტი გაკეთებულიყო ასაკზე, ვინაიდან საქმე ეხებოდა დაწყებით საფეხურს.

18:27 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 18:50 საათზე.
18:40 საათზე სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი ოლია ვოტი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3[1] პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27[5] მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 1 წელიწადი ექსპერტთა ჯგუფისა და საბჭოს მიერ მიცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად. ამასთან, საბჭოს შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, რომ ამავე ვადაში მომხდარიყო პროგრამაზე მონიტორინგის განხორციელება.

საბჭოს რეკომენდაციები:

- ბუნებისმეტყველების სილაბუსებში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ინტერდისციპლინარული სწავლების ელემენტები/მიდგომები;
- იმ კურსებში სადაც იყო წარმოდგენილი ჩაშენებული პრაქტიკა სილაბუსის საათების განაწილებაში გამოჩნდეს სკოლაში ვიზიტის დროს განსახილველი თემატიკა და განსახორციელებელი აქტივობები;
- დაგეგმვის და შეფასების კურსში აქცენტი გაკეთდეს განმავითარებელ შეფასებაზე;
- გაძლიერდეს კვლევის კურსების კომპონენტი, კერძოდ პრაქტიკის კვლევის კომპონენტის კურსებში.

4. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების საფეხური	ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	განათლების მაგისტრი 03
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	300

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ვიზიტის დროს მოხდა მატერიალური რესურსის დათვალიერება, შედგა გასაუბრებები დაწესებულების წარმომადგენლებთან, გადამოწმებული იქნა ხელშეკრულებები რომლის შესახებაც აღნიშნული იყო თვითშეფასების დოკუმენტში. რაც შეეხებოდა რეკომენდაციებს პროგრამის შესახებ, მთლიანობაში პროგრამა შედგენილი იყო კარგად, გეგმის მიხედვით ჩაბდა თუ რა იყო პროგრამის მიზნები, როგორ შეესაბამებოდა უნივერსიტეტის მისიას და ძირითადად პროგრამის მიზნები იყო მიღწევადი. თუმცა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით პროგრამა შედგენილი იყო საგნებზე ორიენტირებული კურიკულუმით, თავიდან ბოლომდე ისწავლებოდა გარკვეული მეცნიერებები, მაგრამ არ იყო შეტანილი ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული საგნები და

საჭიროებდა ამ კუთხით განვითარებას. ღირებულებები იყო გაწერილი თუმცა შეფასების მეთოდები ნაკლებად იყო ცხადი. არსებობდა ხელშეკრულებები სკოლებთან ურთიერთობის, თუმცა როგორ ირჩევდნენ მენტორს და ვის მიემაგრებოდნენ სტუდენტები არ იყო გაწერილი. კარგი იქნებოდა თუ მენტორებს ჩაუტარდებოდათ მომზადება, ტრენინგი თუ როგორ უნდა მოპყრობოდნენ პრაქტიკაზე მისულ სტუდენტებს. ბიბლიოთეკის რესურსი არ იყო დამაკმაყოფილებელი, საჭირო იყო განახლებული ლიტერატურის შეძენა. როგორც დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს ახალი ლიტერატურა წარმოდგენილი იყო ელექტრონული სახით, თუმცა წიგნადი ფონდი იყო მწირი.

საბჭოს წევრი, დიმიტრი ჯაფარიძე დაინტერესდა ნახეს თუ არა ექსპერტებმა ელექტრონული ბიბლიოთეკა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მათ ელექტრონული წიგნები არ უნახავთ. თუმცა ნახეს ლექტორების მიერ შემუსავებული რიდერები საგნების მიხედვით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს და დაინტერესდა რეალურად ჰქონდათ თუ არა ელექტრონული ლიტერატურის ბაზა.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ნამდვილად არსებობდა ასეთი ბაზა, რაც დასტურდებოდა შესაბამისი ხელშეკრულებებით. გარდა ამისა მათ გაფორმებული ჰქონდათ ხელშეკრულება საქართველოში არსებულ 70-მდე ბიბლიოთეკასთან.

ექსპერტმა განაცხადა, რომ გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ სტუდენტების მომზადების დონე საკმაოდ მაღალი იყო, თუმცა უცხო ენის ფლობა რჩებოდა ხარვეზად.

დაწესებულების წარმომადგენელმა რეკომენდაციებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პროგრამაში გათვალისწინებული იყო რამოდენიმე სასწავლო ბლოკი, პირველ ბლოკში შედიოდა ისეთი ძირითადი სასწავლო კურსები, რომელიც უშუალოდ ბავშვზე იყო ორიენტირებული, მეორე სასწავლო ბლოკი მოიცავდა პედაგოგიკას, ფსიქოლოგიას და მეთოდებს და 1/3 მოცულობით საგნებს. დარგობრივი მახასიათებლის და კლასიფიკატორის მიხედვით ერთ-ერთ მთავარ კომპეტენციას წარმოადგენდა ცოდნა-გაცნობიერება, შესაბამისად მათი ორიენტირი იყო ახალი ცოდნის შექმნა და ვინაიდან პროგრამა გახლდათ ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა ბაკალავრიატის მისია იყო ცოდნის გაღრმავება და გაფართოება. თითოეული სასწავლო კურსი იყო გარკვეულწილად ბავშვზე ორიენტირებული ვინაიდან მხედველობაში იყო მიღებული საგნობივი სტანდარტი, ეროვნული სასწავლო გეგმა და სხვადასხვა გარემოება. პროგრამაში შეტანილი იყო რვა სასწავლო კურსი: წიგნიერება და აზროვნება, ინოვაციური მეთოდები, ინკლუზიური განათლება, ინტერკულტურული განათლება და ა.შ. ყოველივე აღნიშნული მეტყველებდა პროგრამის სწორად ბავშვზე ორიენტირებულობას.

რაც შეეხებოდა ბიბლიოთეკას, მათ ჰქონდათ არაერთ მოომსახურებასთან წვდომა, სტუდენტებს შეეძლოთ ესარგებლათ არაერთი ინტერნეტ გამოცემებით, ასევე მათ ჰქონდათ ჩაწერილი ის ლიტერატურა რაზეც არ მიუწვდებოდათ ხელი ბეჭდური სახით. ექსპერტთა ჯგუფს მოსაზრება საბიბლიოთეკო რესურსის სიმწირეზე შეექმნათ მას შემდეგ რაც მოითხოვეს სკოლის სახელმძღვანელოები. აღსანიშნავი იყო, რომ ქართული ენის დიდაქტიკაში მითითებული იყო, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის გრიფირებული სახელმძღვანელო 2018 წელი. ვინაიდან გრიფირების პროცესი მიმდინარეობდა ცხადია მათ ვერ ექნებოდათ აღნიშნული გრიფირებული სახელმძღვანელო.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ სახელმძღვანელოთი სწავლება ცოტა საკამათო თემა იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სახლემძღვანელო საჭირო იყო ჯგუფური მუშაობისათვის, დავალების შესრულებისას, ანალიზის გაკეთებისას და ა.შ. სილაბუსში არ იყო მითითებული ავტორი, მიმდინარეობდა გრიფირების პროცესი და ამიტომ არ ჰქონდათ სახელმძღვანელო. რაც შეეხებოდა პრაქტიკის განხორციელებას, პროგრამა იყო ახალი, ინტეგრირებული, სულ სხვა მიდგომით ხდებოდა პრატქიკის განხორციელება. მემორანდუმები ჰქონდათ გაფორმებული რეგიონის სხვადასხვა სკოლებთან. ფუნქციები გაწერილი იყო პრაქტიკის სილაბუსებში. თვეში ერთხელ ხდებოდა შეხვედრები წარმომადგენლებთან და ხდებოდა მათი რჩევების გათვალისწინება. მენტორის და ტუტორის ფუნქცია-მოვალეობები დაწვრილებით იყო გაწერილი სილაბუსში. მენტორი და წამყვანი მასწავლებელი უწევდნენ ხელმძღვანელობას სტუდენტს.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჟანიძემ განაცხადა, რომ დაწესებულებას აღნიშნულ პროცესში ასევე შეეძლო ჩაერთო უფროსი მასწავლებელიც.

დაწესებულების წარმომადგენელმა პრაქტიკის კვლევასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სასკოლო პრაქტიკა ხორციელდებოდა 3 ეტაპად. ყველა პრაქტიკაზე სტუდენტი არჩევდა საკვლევ თემას 1-დან 3-მდე და შემდეგ წარმოადგენდა პორთფოლიოს. ასე შექმნიდა ის სამ პორთფოლიოს და ჯამში შეგრივდებოდა 9 თემა. ამ თვალსაზრისით მისი არჩევანი იყო თავისუფალი.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ ბუნებისმეტყველების ნაწილში არ ჩანდა ცალკე გამოყოფილი ქიმია.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ არ ჰყავდათ ცალკე ქიმიის მასწავლებელი, ვინაიდან ბიოლოგიის მასწავლებელი ახორციელებდა ქიმიის კომპონენტსაც ვინაიდან მას ჰქონდა შესაბამისი კომპეტენცია.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ მას რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ბუნებისმეტყველების კუთხით არ ხდებოდა ინტეგრირებული სწავლება და ნარევი შექმნილი იყო ხელოვნურად.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისინი შეეცადნენ თავი აერიდებინათ დანომვრებისათვის.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა განაცხადა, რომ რთული იყო ბუნებისმეტყველების ინტეგრირებული ხედვის ჩამოყალიბება. შესაბამისად მას მიაჩნდა, რომ აღნიშნული საკითხისათვის იმპერატიული ხასიათის მიცემა არ იქნებოდა მიზანშეწონილი.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ ვერ გაიზიარებდა საბჭოს წვერის მოსაზრებას, ვინაიდან აღნიშნული არ ნიშნავდა ხელოვნური კავშირების შექმნას. არსებობდა უცხოური სახელმძღვანელოები რომლის მიხედვით შესაძლებელი იყო აღნიშნული საკითხის მოგვარებაზე მუშაობის დაწყება.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჟანიძემ განაცხადა, რომ სწავლის შედეგებში სრულად იყო გადმოტანილი დარგობრივი მახასიათებელი, აუცილებელი იყო სწავლის შედეგების გამსხვილება და სილაბუსებში ჩაშლა. პროგრამაში წარმდგენილი იყო ორი კურსი „განვითარების და სწავლის თეორიები" და „განათლების ფსიქოლოგია" სადაც ფიქსირდებოდა გადაფარვები. სხვადასხვა ფორმულირებით წარმოდგენილი იყო ერთი და იგივე თემები. ასევე სწავლის ფსიქოლოგიაში გამოიყენებოდა 2008 წელს გამოცემული წიგნი. უმჯობესი იყო ახალი ლიტერტურის გამოყენება. „თანამედროვე საგანმანთლებლო ტექნოლოგიები" გახლდათ საკმაოდ კარგი კურსი თუმცა საჭიროებდა წინაპირობას. საჭირო

იყო ასევე განმავითარებელი შეფასების ჩადება პროგრამაში. მილენიუმის პროგრამის ფარგლებში გამოსული იყო წიგნი დიფერენცირებული მიდგომა და განმავითარებელი შეფასება რომელიც გამოყენებული შეიძლებოდა ყოფილიყო სახელმძღვანელოდაც. ფსიქოლოგიის კურსებში აქცენტი უნდა გაკეთებულიყო იმ ასაკობრივ კატეგორიაზეც სადაც შედიოდნენ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები ფასდებოდა ცალ-ცალკე სამაგისტრო ნაშრომით, ასევე ჰქონდათ შეფასების რუბრიკები.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჟანიძემ განაცხადა, რომ უმჯობესი იქნებოდა თუ თუ კი კურსებში თანმიმდევრობა იქნებოდა დაცული მომზადებას, დაგეგმვასა და განხორციელებას შორის.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სწავლისა და განვითარების თეორიასა და განათლების ფსიქოლოგიას კითხულობდა ორი ლექტორი, ერთი პრატქიკოსი და მეორე ფსიქოლოგი და მათი მოსაზრებით გადაფარვას არ უნდა ჰქონოდა ადგილი.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჟანიძემ განაცხადა, რომ თემები მეორდებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უცხო ენასთან დაკავშირებით სამომავლოდ იგეგმებოდა უცხო ენის კურსების შექმნა. ასევე მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი იყო თანხა იმ სტუდენტებისათვის რომლებიც არ ფინანსდებოდნენ სახელმწიფოს მიერ, თანხის ნაწილი ასევე მოხმარდებოდა უცხო ენის კომპეტენციის გაზრდას.

19:31 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება
სხდომა განახლდა 19:50 საათზე

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3[1] პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 1 წელიწადი ექსპერტთა ჯგუფისა და საბჭოს მიერ მიცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად. ამასთან, საბჭოს შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, რომ ამავე ვადაში მომხდარიყო პროგრამაზე მონიტორინგის განხორციელება.

საბჭოს რეკომენდაციები:

- ბუნებისმეტყველების სილაბუსებში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ინტერდისციპლინარული სწავლების ელემენტები/მიდგომები;
- კურსებში „განვითარების და სწავლის თეორიები" და „განათლების ფსიქოლოგია" თავიდან იქნას აცილებული გადაფარვები;
- პროგრამაში გაძლიერდეს განმავითარებელი შეფასება და აქცენტი გაკეთდეს დიფერენცირებულ მიდგომაზე;
- დაკონკრეტდეს შეფასების კრიტერიუმები თითოეული ტიპის დავალების შესრულებისათვის.

5. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტერირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების საფეხური	ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	განათლების მაგისტრი 03
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	300

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

20:00 საათზე სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა გელა გელაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამა საკმაოდ კარგად იყო შედგენილი, პროგრამა არის ლოგიკური თუმცა მიუხედავად ამისა ჯგუფმა პროგრამის გაუმჯობესების მიზნით შეიმუშავა გარკვეული რეკომენდაციები. კერძოდ, პროგრამა არ იყო ბავშვზე ორიენტირებული მთლიანად და კურიკულუმი იყო უმეტესწილად ორიენტირებული საგნებზე. სწავლის შედეგები გაწერილი იყო ფართოდ და აუცილებელი იყო შემცირება, ერთიან ბლოკებად გაერთიანება იმისათვის რომ შესაძლებელი ყოფილიყო მათი მიღწევადობის გაზომვა.

ერთერთი რეკომენდაცია ეხებოდა პრაქტიკულ კურსებს, პრაქტიკის ბლოკი იწყებოდა საკმაოდ გვიან და თუ პრაქტიკის პროცესში სტუდენტს გაუჩნდებოდა შეკითხვები ვეღარ შეძლებდა თეორიულ ლექციებზე ინფორმაციის მიღებას. შესაბამისად, პრაქტიკა უნდა განხორციელებულიყო თეორიული კურსების პარალელურად. რამოდენიმე კურსში ლიტერატურა იყო საკმაოდ ძველი, 90-იან წლებში გამოცემული და საჭიროებდა განახლებას. რაც შეეხებოდა მემორანდუმებს, დაზუსტებული უნდა ყოფილიყო მხარეთა უფლება-მოვალეობები და როლები. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუსას გაირკვა,რომ არ ასრგებლობდნენ მობილობაში, რაც საჭიროებდა უნივერსიტეტის მხრიდან ყურადღებას. ბიბლიოთეკაში არ იყო უცხოენოვანი ლიტერატურა და ქართულენოვანიც იყო მოუწესრიგებელი. კურიკულუმში იყო შემთხვევა, როცა სილაბუსებში ეწერა ღირებულებების შესახებ თუმცა იყო ძალიან ზოგადი და არ ჩანდა სასწავლო მეთოდებიდან როგორ მიიღწეოდა. სწავლის შედეგები არ იყო კურსების შესაბამისი.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სტუდენტების საზღვარგარეთ მობილობასთან დაკავშიებით, დაწესებულებაში ხორციელდებოდა არაერთი პროექტი, ხდებოდა ინფორმაციის ვებ გვერდზე განთავსებაც, თუმცა სტუდენტების პასიურობაში უნივერსიტეტი ვერ ჩაერეოდა. რაც შეეხებოდა აუდიტორიებს და ზოგადად ინფრასტრუქტურას ევროკავშირის პროექტების დახმარებით ხდებოდა უახლესი ტექნიკის შეძენა და უნივერსიტეტის აღჭურვა. ბიბლიოთეკაში მიმდინარეობდა რემონტი, თუმცა ლიტერატურა და წიგნადი ფონდი მოწესრიგებული იყო. დაწესებულებას ასევე ჰქონდა ელექტრონული ბიბლიოთეკაც სადაც განთავსებული იყო უახლესი უცხოენოვანი ლიტერატურაც.

საბჭოს წევრი, თეო ურუშაძე დაინტერესდა შესაძლებელი იყო თუ არა წვდომა ელეტრონულ ბიბლიოტეკაზე გარედან.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ასეთი წვდომა არსებობდა. არასნიშნავი იყო, რომ მათ ჰქონდათ ინტერაქტიული დაფებიც და ძირითადად ყველა რესურსი ჩადებული იქნა აღნიშნული ფაკულტეტის განვითარებისათვის. აღნიშნულის დასტურად მათ თან ჰქონდათ ფოტო მასალა. რაც შეეხებოდა ლიტერატურას, რაც კი გამოცემულ იქნა ქართულ ენაზე ბოლო ორი წლის მანძილზე იდო ბიბლიოთეკაში. დაწესებულებას ნამდვილად ჰქონდა ინგლისური ენის ცოდნის დონის პრობლემა, პროგრამაზე სწავლობდნენ სოციალურად დაუცველი სტუდენტები, რომელთაც არ ჰქონდათ ინგლსიური ენის კომპეტენცია, შესაბამისად მოხდა ინგსლიური კურსების შემუშავება, ასევე 21 კრედიტამდე გაიზარდე უცხო ენის კომპონენტი იმისათვის რომ აემაღლებინათ დონე და მიეცათ სტუდენტებისათვის საშუალება ჩართულიყვნენ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში. ასევე ტექნიკური ხარვეზი იყო ქართული კულტურის ისტორიის კურსის პროგრამაში გაჩენა, მსგავსს სილაბუსს პროგრამა არ ითვალისწინებდა.

რაც შეეხებოდა პრაქტიკის კომპონენტს, იწყებოდა მეექვსე სემესტრში საუდიტორიო პრაქტიკის სახით, რომელიც ატარებდა გაცნობით ხასიათს, ხოლო პრატქიკის გარკვეული ელემენტები ჩაშენებული ერთ-ერთ სილაბუსში ადრეულ ეტაპზეც.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჟანიძემ განაცხადა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციებს და აღარ გამეორდებოდა. მისი რჩევა იყო არ მიეთითებინათ სილაბუსში ლიტერატურა, რომელიც არ შეესაბამებოდა თემატიკას. ასევე აუცილებელი იყო დაესახათ კონკრეტული სწავლის შედეგები და არ იყო საჭირო ფართო სპექტრის მითითება. სასურველი იყო გაწერილიყო მხოლოდ ის სწავლის შედეგები რისი მიღწევაც შესაძლებელი

იქნებოდა. მას ასევე აინტერესებდა დამოუკიდებელი პრაქტიკის კურსის შეფასება ვის მიერ ხდებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პრაქტიკა ფასდებოდა მენტორის მიერ და ზოგიერთ შემთხვევაში მოთხოვნილი იყო ფსიქოლოგის ჩართვაც შეფასებაში.

20:10 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება

სხდომა განახლდა 20:25 წუთზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3[1] პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27[5] მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 1 წელიწადი ექსპერტთა ჯგუფისა (გარდა პირველი, მესამე, მეექვსე, მეთექვსმეტე, მეცხრამეტე და მეოცე რეკომენდაციებისა) და საბჭოს მიერ მიცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად. ამასთან, საბჭოს შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, რომ ამავე ვადაში მომხდარიყო პროგრამაზე მონიტორინგის განხორციელება.

საბჭოს რეკომენდაციები:

- ლიტერატურა რომელიც მითითებული იქნება სილაბუსებში უნდა შეესაბამებოდეს კურსის თემატიკას;
- კურსის/კურსების შინაარში უნდა უზრუნველყოფდეს საგნის ყველა შედეგზე გასვლას;
- გაძლიერდეს კვლევის კომპონენტი;
- გადაიხედოს სასკოლო პრაქტიკის კურსი და შეთავაზებული იყოს უფრო ადრეული სემესტრიდან.

გადაწყვეტილების დასაბუთებისას საბჭომ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად აკმაყოფილებდა მეორე სტანდარტის მოთხოვნებს.

20:30 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ირაკლი ბურდული

მდივანი
ნინო ჩანადირი